აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №7

2014 წლის 5 მარტი

ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №53 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 165, 17.12.2010წ.) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშაოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარმოუდგინოს სამართლებრივი აქტების პროექტები და წინადადებები ბიომრავალფეროვნების, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყეებისა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;“;

გ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სამმართველოს აპარატის მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა და ინვენტარიზაციის ჩატარება, სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, კონტროლი მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე.“;

დ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კონტროლი სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე;“;

ე) მე-6 მუხლის 8^2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-6 მუხლის მე-8^2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სამმართველოს სისტემაში თანამშრომელთა სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნის და ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტიციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ ფაქტის ან/და სამმართველოს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმება (სამმართველოს სისტემის შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან დოკუმენტაციის გამოთხოვა შესწავლის მიზნით, ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა ან გამოკითხვის აქტის შედგენა სამმართველოს სისტემის მოსამსახურეებსა და სამსახურებრივ შემოწმებასთან დაკავშირებულ მოქალაქეებზე და სხვა), შესაბამისი დასკვნის მომზადება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ი) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნისა და ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტიციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ ფაქტის ან/და სამმართველოს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების თაობაზე ინფორმაციის შემცველი განცხადებებისა და წერილების შესასწავლად შესაბამისი შემოწმების ჩატარება, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დასკვნის მომზადება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

არჩილ ხაბაძე